

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №55

2011 წლის 2 ნოემბერი

ქ. ბათუმი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების განსაზღვრის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

1. უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანამდე უფლებამოსილი პირის მიერ ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული მდგომარეობის დათვალიერება და შესაბამისი აქტის შედგენა.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალების ღია მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არსებულ ნივთებზე პასუხისმგებლობა უფლებამოსილ პირს არ ეკისრება.

4. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას ან მისი სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვისას ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული მდგომარეობის დაზიანებების თაობაზე პრეტენზიები წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გაყვანამდე. პრეტენზიის არსებობისას პრეტენზიის წარმომდგენი პირის თანდასწრებით ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული მდგომარეობის დათვალიერება და შესაბამისი აქტის შედგენა. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გაყვანის შემდეგ წარდგენილი პრეტენზიები არ განიხილება, მათ შორის არ ხდება პრეტენზიის წარმომდგენი პირის თანდასწრებით ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული მდგომარეობის დათვალიერება და შესაბამისი აქტის შედგენა.

5. სპეციალური დაცული სადგომისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღია ტერიტორია.

6. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ხარჯი 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

7. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის ხარჯი შემდეგი ოდენობით:

ა) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება სპეციალურ დაცულ სადგომზე არ რჩება ღამის განმავლობაში – **5 (ხუთი)** ღარი;

ბ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება სპეციალურ დაცულ სადგომზე რჩება ღამის განმავლობაში – ერთი **ღამე 10 (ათი)** ღარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

8. სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანა დასაშვებია:

ა) სამუშაო დღეებში – 10⁰⁰ საათიდან 19⁰⁰ საათამდე;

ბ) უქმე და დასვენების დღეებში – 10⁰⁰ საათიდან 14⁰⁰ საათამდე.

9. სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანის უფლება აქვთ:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ რეგისტრირებულ პირს;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის მინდობილ პირს;

გ) სამართალდამრღვევს;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს.

10. სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანის უფლებას აძლევს პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

11. პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ამ დადგენილების მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ პირს სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანის უფლება ეძლევა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გაყავს პირს, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში არ არის რეგისტრირებული მესაკუთრედ, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული მინდობილობა, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით;

ვ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გაყავს ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს, შესაბამისი დოკუმენტის ასლი;

ზ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება ირიცხება საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ბალანსზე, სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანისას შეიძლება წარმოდგენილი იქნეს:

ზ.ა) საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ან/და მათი ტერიტორიული ორგანოს (წარმომადგენლობის) მიერ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის თანამშრომელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც არ საჭიროებს სანოტარო წესით დადასტურებას;

ზ.ბ) სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის, რომელსაც სურს სპეციალური დაცული სადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანა, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის

ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეო-ბაზე პასუხისმგებლობას.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

12. ხარჯის გადახდა განხორციელდეს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ კომერციულ ბანკში ან/და ელექტრონული გადახდის საშუალებებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

13. წინამდებარე დადგენილებით დადგენილი ხარჯის ამოღებას ახორციელებს პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“. ამ დადგენილების მე-6 პუნქტით განსაზღვრული ხარჯი ირიცხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიშზე და წარმოადგენს მის საკუთრებას, ხოლო მე-7 პუნქტით განსაზღვრული ხარჯი ირიცხება პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე და წარმოადგენს მის საკუთრებას.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 იანვრის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 31.01.2020წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.02.2020წ.

14. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ შეიმუშაოს ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები. დაევალოს პარკირების ორგანიზების განმახორციელებელ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიმუშაოს ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გაყვანასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 იანვრის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 31.01.2020წ.

15. სპეციალური დაცული სადგომები იმყოფება პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მართვაში, მასვე ევალება სპეციალური დაცული სადგომების მოვლა-პატრონობა და დადგენილი ნორმატივების შესაბამისად ტექნიკურად აღჭურვა.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

16. (ამოღებულია - 15.02.2018, №9).

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.02.2018წ.

17. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გ. კირთაძე